



საქართველოს საგარეო სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

## დადგენილებათა და განვარგულებათა პრეზული

1938 წ. 1 მარტის 10

№ 4

თბილისი

შ 0 6 1 5 6 0

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში

10. საქართველოს სსრ ვაკერობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.
11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე საჩივრების შეტანის შესახებ.
12. საბინო-საამშენებლო კოოპერაციულ ამხანაგობების ყოფილ მექანიკთან ანგარიშ-წორების წესის შესახებ.
13. ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის წესის შესახებ.

### სახალხო კომისართა საგარეო დადგენილებაში

10. საქართველოს სსრ ვაკერობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 3 აპრილის დადგენილებისა „სსრ კავშირის ვაკერობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის დადგენ. კრებ. 1938 წ. № 15, გვ. 95), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ ვაკერობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. პელიძე.

1938 წ. ივნისის 17. № 1083.  
თბილისი.

ପାତ୍ରବିଧି ମହାକାବ୍ୟ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარის შესახებ

## საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატი, თანაბმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 57 მუხლებისა, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს და ხელმძღვანელობს გაჭრობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გარდა იმ გამონაცლისებისა, რაც დაწესებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 76 მუხლის შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატს ეყისრება:

  - სასურათო და სამრეწველო საქონლით გაჭრობის ორგანიზაცია, აგრეთვე საზოგადო კვების ორგანიზაცია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;
  - კვემდებარე საგაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე საზოგადო კვების ორგანიზაციების უშუალო მართვა-გამტება;
  - ადგილობრივი მნიშვნელობის საგაჭრო ორგანიზაციათა და საზოგადო კვების ორგანიზაციათა საერთო ხელმძღვანელობა;
  - სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე სსრ კავშირის გაჭრობის სახალხო კომისარიატის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე—საქართველოს სსრ სხვა უწყებების მიერ წარმოებულ ვაჭრობის რეგულირება და განხორციელება კონტროლისა დაწესებული ასორტიმენტის საქონლით ყველგან დაუბრკოლებლივ ვაჭრობის წარმოებაზე.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 75, 105 და 106 მუხლების შესაბამისად, სახელმწიფო მმართველობის მისთვის მინდობილ დარღს ხელმძღვანელობს, როგორც წესი, აქარისა და აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლქის ვაჭრობის საოლქო განყოფილების, აგრეთვე ქალაქის საბჭოების და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების საგაჭრო განყოფილებების მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, საქ. სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, გამოსკვეშს თავის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებისა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, დამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ გაჭრობის კომისარიატი შეაჩერებს და გააუქმებს ზუგდიდისა და აჭარის ასსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ისტოს ავტონომიური ოლქის გაჭრობის საოლქო განყოფილების, ქალაქის საბჭოებისა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების სავაჭრო განყოფილებების ისეთ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობის კანონებსა და დადგენილებებს, აგრეთვე სსრ კავშირის გაჭრობის სახალხო კომისარიატის და საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

5. საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო მმართველობის მისთვის მინდობილ დარგს და ექვემდებარება, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე სსრ კავშირის გაჭრობის სახალხო კომისარიატის.

საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი

6. საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატი:

1) აღენს მიღებული წესით დასამტკიცებლად ცალობითი და ბითუმათ საქონლის ბრუნვის, საზოგადოებრივი კვების ჯეგმებს, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოვაჭრე ყველა ორგანიზაციის ცალობითი და ბითუმათ გაჭრობის ქსელის და საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარების გეგმებს, აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის ფონდების გამოყენების გეგმებს და მათი შემოზიდვისა და რეალიზაციის გეგმებს;

2) მოხხოვნილებას წარუდგენს რესპუბლიკურ და ადგილობრივ, მათ შორის კუსტარულ მრეწველობას ფართო მოხმარების საგნების სათანადო რაოდენობითა და ასორტიმენტით წარმოებაზე, აგრეთვე ახალი სახის და ხარისხის საქონლის წარმოებაზე;

3) მოაწყობს ფართო მოხმარების საქონლისა და სავაჭრო ქსელში მყოფ საქონლის ხარისხის კონტროლს, აგრეთვე მონაწილეობას იღებს ფართო მოხმარების საქონელზე სტანდარტების და ტექნიკური პირობების დამუშავებაში და დაწესებაში.

4) სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ბაზებზე ამოწმებს გაჭრობისათვის საქონლის გადმოგზავნის გეგმების შესრულებას, აგრეთვე გადმოგზავნილ საქონლის ხარისხს; ღებულობს ფართო მოხმარების საქონლის გამომშეებ მრეწველობის ორგანოებისაგან და სავაჭრო ორგანიზაციებისაგან დაწესებული ფორმით საანგარიშო ცნობებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და გადმოგზავნის შესახებ;

5) ამუშავებს და, ფასების შესახებ მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარადგენს დასამტკიცებლად საგასაცემო და საცალო ფასებს ფართო მოხმარების საქონელზე, - აგრეთვე ავტოსაჭაპანო და სავაჭრო ფასდაკლებისა და ფასწანაშების რაოდენობას.

6) მრაწყობს კანტროლს დაწესებულ ფასების მტკიცედ დაცვითთვის ჩააწარმოებს ბრძოლას ფასების დარღვევასთან, წონაში და ზომაში მოტყუებასთან და მომხმარებლის სხვა სახის მოტყუებასთან;

7) ამჟავებს ღონისძიებებს საბაზრო და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის, ბაზრების გაწყობისა, მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე ბაზრების მოწყობისათვის და ანხორციელებს კონტროლს აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებაზე;

8) ამჟავებს ვაჭრობის კანონმდებლობის საკითხებს და ვაჭრობის წესებს, ანხორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ ტერიტორიიზე მოვაჭრე ორგანიზაციებისა და საწარმოთა მიერ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობის კანონებისა, დალგენილებებისა და განკარგულებების, და აგრეთვე ვაჭრობის მოსაწესრიგებლად შემოლებულ წესების შესრულებაზე.

9) ანხორციელებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სტატისტიკურ აღრიცხვას და აწარმოებს საკონიუნქტურო მეთვალყურეობას შინაური ბაზრის მდგომარეობაზე;

10) უშუალოდ განავებს ქვემდებარე სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს და საზოგადო კვების ორგანიზაციებს, ამტკიცებს მათ სავაჭრო-საფინანსო გეგმებს, აწარმოებს მათ შორის საბრუნავ თანხების გადანაწილებას და აგრეთვე აწესებს სავაჭრო-საფინანსო გეგმის ძირითად ელემენტებს აღიღლობრივ ქვემდებარეობის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის;

11) ადგენს ქვემდებარე სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების დაფინანსებისა და დაკრედიტების გეგმებს და ანხორციელებს კონტროლს ამგების შესრულებაზე;

12) ხელმძღვანელობს ქვემდებარე სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედეგნასა და განხორციელებას; ამჟავებს ცალობით და ბითუმათ მოვაჭრე საწარმოთა და საზოგადო კვების საწარმოთა და მათი მოწყობილობათა ტიპებს, ამტკიცებს კანონით მიღებული წესით გეგმებს, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის პროექტებსა და ხარჯო-აღრიცხვებს;

13) ამჟავებს ღონისძიებებს შორიმისა და ხელფასის ორგანიზაციისა და ნორმირების ხზით ქვემდებარე სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ანხორციელებს ღონისძიებებს ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების რაციონალიზაციის დარღვები და ხელმძღვანელობს სოციალისტური შეჯიბრისა და სტანდართური მოძრაობის განვითარებას ვაჭრობაში და საზოგადოებრივი კვებაში;

14) აწყობს ქვემდებარე სამეურნეო ორგანიზაციების ტექნიკურ და მატერიალურ მომარაგებას;

15) აწყობს და ხელმძღვანელობს უშუალოდ დაქვემდებარებულ სასწავლებლებს, აგრეთვე კონტროლს უწევს აპარის და აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატების, სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლქის ვაჭრობის საოლქო განყოფილების და ქალაქის საბჭოებისა და რაიონულ აღმასრულებელ

კომიტეტების სავაჭრო განყოფილებათა მუშაობას მათ გამგებლობაში სასწავლებლების ხელმძღვანელობისა და საკურსო ლონისძიებათა გატარების მხრივ;

16) ანხორციელებს შინა საუწყებო საფინანსო კონტროლს და დოკუმენტაციურ რევიზიას აგრეთვე ხელმძღვანელობას უწევს საბუნებრივი აღრიცხვასა და ანგარიშგებას ქვემდებარე სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, იხილავს და ამტკიცებს ქვემდებარე ორგანიზაციათა და საწარმოთა ანგარიშებსა და ბალანსებს, ამტკიცებს მოგებათა განაწილების და ზარალის დაფარვის პროცეტებს, და აგრეთვე ანხორციელებს საბუნებრივი აღრიცხვას საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში;

17) მოაწყობს სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოებს და ხელმძღვანელობას უწევს სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებებს საქართველოს სსრ-ში ვაჭრობისა და საზოგადო კვების რაციონალური ორგანიზაციის საკითხების დამუშავებაში, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ვაჭრობის მატერიალურებენიკური ბაზის რეკონსტრუქციას, ამუშავებს ცალობით და ბითუმათ მოვაჭრე საწარმოთა, აგრეთვე საზოგადო კვების საწარმოთა და მათი მოწყობილობის ტიპებს.

7. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი აწარმოებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განყოფილებათა ჯგუფებისა და სექტორების, აგრეთვე ქვემდებარე ორგანიზაციებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების და მთავარი ბუნებრივების დანიშვნას.

### საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ეწყობა შემდეგი განყოფილებები, ჯგუფები და სექტორები:

1) სასურათო საქონლით ვაჭრობის განყოფილება და


2) სამრეწველო საქონლით ვაჭრობის განყოფილება, რომლის მეშვეობით საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი ანხორციელებს ხელმძღვანელობას სასურათო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობაზე და კონტროლს აღნიშნული საქონლით ვაჭრობის მდგრადირეობაზე.

### აღნიშნულ განყოფილებებს ეკისრება:

სასურათო და სამრეწველო საქონლის გამოყენების გეგმების შედგენა და პრინტოლი მათ შეარტლებაზე;

კონტროლი და მეთვალყურეობა მრეწველობის მიერ ვაჭრობისათვის სასურათო და სამრეწველო საქონლის გაცემაზე;

სასურათო და სამრეწველო საქონლის ფასებისა, სავაჭრო ფასდაკლებისა და ფასწანამატების საკითხების დამუშავება, ბუნებრივი დანაკარგის ხარისხისა და ასორტიმენტის საკითხების დამუშავება;



საბითუმო საქონლის მოძრაობისა და მრეწველობის და სავაჭრო კონფიდენციალურობის შაციების საბითუმო გამსაღებელი ბაზების განაწილების საკითხების დამუშავება;

სასურათო და სამრეწველო საქონლის ბითუმად და ცალკებით გაჭრობის წესების დამუშავება.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სასურათო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის განყოფილებათა შემადგენლობაში ეწყობა ინსტრუქტორ-საქონლისმცოდნეთა ტერიტორიალური ჯგუფები.

3) ხილბოსტრუელისა და დეცენტრალიზებული დამზადებების განყოფილება, რომლის მეშვეობითაც საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი ანხორციელებს ხელმძღვანელობას ხილბოსტრუელის დამზადებასა და ვაჭრობაზე, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო არამარცვლოვან პროდუქტების დეცენტრალიზებულ დამზადებაზე.

აღნიშნულ განკოტილებას ეკისრება:

საქართველოს სსრ გაქრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ ორგანიზაციების მიერ ხილოსტეულის ცენტრალიზებულ და დეცნტრალიზებულ დამზადებებისა, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო არამარცვლოვან პროდუქტების დეცნტრალიზებული დამზადების გეგმების დამუშავება და ამ გეგმების შესრულების კონტროლი;

ხილბოსტნეულის გამოყენებისა და შემოზიდვის გეგმების შედგენა და  
მათი შესრულების კონტროლი, ხილბოსტნეულის გასაღებისა და ცალობითი ვაჭ-  
რობის საკითხების, აგრეთვე სავაჭრო ფასდაკლებისა და წანამატების საკით-  
ხების დამუშევება;

ხილბოსტნეულის ბითუმათ და ცალობით ვაჭრობის წესების დამუშავება და აგრეთვე ხილბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავების ღონისძიებათა დამუშავება და ამ ღონისძიებათა განხორციელების კონტროლი.

4) საკოლმეურნეო ბაზრების ჯგუფი, რომელსაც ეკისრება: ღონისძიებათ დამუშავება საბაზრო-საკოლმეურნეო ვაჭრობის გაუმჯობესებისა და გაფართოების დარღვევი, ბაზრების მშენებლობის გამართვის და კეთილმოწყობის საკითხების დამუშავება და აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრებზე კოლმეურნეოთვის და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობათვის მომსახურეობის საკითხების დამუშავება.

5) გაჭრობის ორგანიზაციის განყოფილება, რომელსაც ეკისრება: სავაჭრო ორგანიზაციათა და საწარმოთა ორგანიზაციული წყობის საკითხების დამუშავება, აგრეთვე მაღაზიებისა და საწყობების ტიპიზაციის საკითხების, ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქციის საკითხების და სატარო მეურნეობის ორგანიზაციის საკითხების დამუშავება; ვაჭრობის საერთო წესების და სავაჭრო ტექნიკის რაციონალიზაციის საკითხების დამუშავება, მუშაობის

წარმოება გაჭრობის რაციონალიზაციის დარგში; სავაჭრო ორგანიზაციების მომენტარებლებთან კავშირის ლონისძიებათა დამუშავება (მყიდველთა კონფერენცია, საზოგადოებრივი კონტროლი და სხვ.), საკონტროლო-საინსპექტორო ფუნქციების განხორციელება.

6) სასადილოების, რესტორანების, ბუფეტების და კაფეების განყოფილება, რომელსაც ეკისრება: საერთო რეგულირება და კონტროლი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობაზე, მათი ქვემდებარეობის მიუხედავათ, საზოგადოებრივი კვების სისტემათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარავებისა და მათი ქსელის ტექნიკური გამართულობის გეგმების დამუშავება.

7) საეგვმო-საფინანსო განყოფილება, რომელსაც ეკისრება: ცალობითა და ბითუმათ მოვაჭრე ქსელის, საზოგადო კვების, ვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის საქონლის ბრუნვის განვითარების შენაკრები გეგმების დამუშავება; ხელმძღვანელობა შენაკრებ სავაჭრო-საფინანსო გეგმების, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის უშუალოდ დაკვემდებარებულ ორგანიზაციათა საკრედიტო გეგმების შედგენაზე და მათი შედგენა, ამ გეგმების განხილვა და სახალხო კომისარისათვის წარდგენა დასამტკიცებლად; აღნიშვნული გეგმების შესრულების ანალიზი; ვაჭრობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საკითხების დამუშავება; ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სტატისტიკური აღრიცხვის დაყენებაზე სავაჭრო ორგანიზაციებში, ყველა სავაჭრო ორგანიზაციათა შენაკრები სტატისტიკური აღრიცხვის წარმოება, სავაჭრო კონიუნქტურის შესწავლა და ამ შესწავლის საფუძველზე—სათანადო ლონისძიებათა დამუშავება და წარდგენა სახალხო კომისარისათვის.

8) ცენტრალური ბუხბალტერია, რომელსაც ეკისრება ინსტრუქტაცი და მეთვალყურეობა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოთა მუშაობაზე საბუხბალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების დარგში; ქვემდებარე ორგანიზაციებისა და საწარმოთა ანგარიშების და ბალანსების განხილვა, აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მთელ სისტემაზე შენაკრები ანგარიშებისა და ბალანსების შედგენა; დოკუმენტალურ რევიზიების განხორციელება.

9) სავაჭრო კადრების მომზადებისა და გადამზადების განყოფილება, რომელსაც ეკისრება საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის უშუალოდ დაკვემდებარებულ სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმიში; სავაჭრო კადრების მომზადებისა და გადამზადების ლონისძიებათა დამუშავება და გატარება; მასიურ პროფესიათა სავაჭრო კადრების შეკრების ორგანიზაცია; მომზადება წინადაღებებისა სახალხო კომისარისათვის მუშაკთა დანიშვნის დარგში, უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულ სპეციალისტების განაწილების დარგში და საქართველოს სსრ ვაჭრობის კომისარიატის ხელმძღვანელ მუშაკთა აღრიცხვის წარმოება.

10) შრომისა და სამუშაო ხელფასის ორგანიზაციის სექტორი, რომელთაც უკისრება შრომისა და სამუშაო ხელფასის საკითხების რეგულირება, კონტროლი შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის წესების დაცვაზე და გატრობაში შრომის სწორ ორგანიზაციაზე; დამუშავება ღონისძიებებისა სავაჭრო კადრების დენადობასთან ბრძოლის საქმეში; ხელმძღვანელობა სტანდარტური მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრის გაშლაზე ვაჭრობაში.

11) კაპიტალური მშენებლობის სექტორი, რომელსაც უკისრება: კაპიტალური მშენებლობის გეგმების დამუშავება საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში და კონტროლი ამ გეგმების შესრულებაზე; დავალებების მიცება ახალი სავაჭრო მშენებლობის ტიპური პროექტების დამუშავებისა და დანერგვის დარგში; კონტროლი მშენებლობის პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით უზრუნველყოფაზე; კონტროლი საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის ცველა სავაჭრო ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვების სისწორეზე; ცენტრალიზებული წესით გამოსაყოფა ფონდირებულ სამშენებლო მასალების მოთხოვნილების გეგმების შედგენა რესპუბლიკურ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის; ტექნიკური ხელმძღვანელობა და კონტროლი იმ მშენებლობაზე, რასაც ანხორციელებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციები და საწარმონი.

12) სატრანსპორტო განყოფილება რომელსაც უკისრება: საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციათა და საწარმოთა ტეირთების რეინიგზის, წყლის და აერო-საქაპანო ტრანსპორტით გადაზიდვის გეგმების დამუშავება, აგრეთვე მეთვალყურეობა ამ გეგმების შესრულებაზე, საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელობა და ინსტრუქტაჟი ტვირთზიდვის და საკუთარი აერო-საქაპანო ტრანსპორტის ექსპლოატაციის საკითხებზე.

13) სამობილიზაციო განყოფილება,

14) არბიტრაჟი,

15) იურისკონსულტი,

16) ტექნიკური ექსპერტიზის ბიურო,

17) ინსპექცია მშრომელთა საჩივრების განხილვის დარგში,

18) საქმეთა შპართველობა,

19) სამღივნო.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უშუალოდ ექვემდებარება სამეცნიერო ანგარიშები მყოფი შემდეგი ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ განსაკუთრებულ დებულებათა და წესდებების საფუძველზე:

1) საქართველოს შერეული ვაჭრობა (საქვაჭრობა),

2) თბილისის შერეული ვაჭრობა (თბილვაჭრობა),

3) თბილისის პურის ვაჭრობა (თბილპურვაჭრობა),

4) აფხაზეთის შერეული ვაჭრობა (აფხაზვაჭრობა),

- 5) აქარის შერეული გაჭრობა (აქარვაჭრობა),  
 6) საზოგადოებრივი კვების ობილისის ტრესტი (ობილსაზეკვებტრესტი),  
 7) საქართველოს სსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატის გამომწერლობა.  
**10.** საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო  
 არი.

11. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარობან ეწყობა კოლეგია, რომელიც შართავს რეგულიარულ სხდომებს და იხილავს პრაქტიკული ზელ-ბდლანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, ადგი-ლობრივ ორგანოთა მუშაკების ანგარიშებს, არსებითი მნიშვნელობის მქონე გრძანებებსა და ინსტრუქციებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება სახალხო კომისრის პრძანებების სახით.

სახალხო კომისრისა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, სახალხო კომისარი ატარებს ცხოვრებაში თავის გადაშევეტილებას და მავე დროს წამოჭრილ უთანხმოებების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემაღენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომი-  
სარტა საბჭო.—საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარის წარდგენით.

12. ადგილებთან კავშირისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისართან არსდება სახალხო კომისარიატის საბჭო, რომელიც მოიწვევა ორ თვეში ერთხელ და იხილავს ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

საბჭოს შემადგენლობას აპტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისარ-თა საბჭო — საქართველოს სსრ დაწრობის სახალხო კომისრის ჭარბებით.

13. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ვაჭრობის ძირეულ და ხელმძღვანელ მუშაკთა გამოცდილების საუკეთესოდ გამოყენების მიზნით და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გადაშლის მიზნით, რეგულირებულად იწვევს აქტივის სახალხო კომისარიატში. სათანადოდ სავაჭრო კანტორებში და ტრესტებში ხელმძღვანელები იწვევენ აქტივებს, რომლებზედაც მოისმენენ და იხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელ მითითებების შესახებ.

684

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე საჩივრების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

დაწესდეს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე საჩივრები შეიძლება შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეს გადასინჯავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი არბიტრი.

საქართველოს სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ლ. ა. რ. ჭელიძე.

1938 წ. ივნისის 25, № 1182.

თბილისი.

67

12. საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობების ყოფილ მეპაიებ-თან ანგარიშსწორების წესის შესახებ.

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ იმ ზოგიერთი საკითხის შესახებ შემოტანილი შეკითხვების გამო, რომლებიც საბინაო-სამშენებლო კოო-პერატივების ყოფილ მეპაიებთან ანგარიშსწორების დროს წამოიკრა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ყოფილ მეპაიეთათვის საპაიო შენატანების დაბრუნებასთან დაკავშირებით ანგარიშის გასასწორებლად პირითად დოკუმენტს წარმოადგენს მეპაიეთა სიები, შედგენილი ყოფ. საქალაქო ბინათვაშირის მიერ და შემოწმებული, უდაოდ ცნობილი და დამტკიცებული ქალაქის საბჭოს და საქალაქო საფინანსო განყოფილების მიერ პირადი ანგარიშების, საბანკო ქვითრების, მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა საშემოსავლო ორდერების, მეპაიეთა პირადი ხარჯების, დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც მიღებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მიერ, აგრეთვე პაიზე უფლების გადაცემის დოკუმენტების საფუძველზე და ა. შ.

2. საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის ყოფილ მეპაიებთან ანგარიშის გასწორება სწარმოებს შეტანილი პაის ფაქტიური რაოდენობის მიხედვით.

მეპაიეთა მიერ პირადად ვაწეული ხარჯების ანაზღაურება მოხდება იმ რაოდენობით, რაც მიღებული და დამტკიცებულია სათანადო მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობების მიერ.

3. იმ შემთხვევებში, როდესაც ქალაქის საბინაო სამმართველოს ან ქალაქის საფინანსო განყოფილებას ეჭვი შეეპარება მშენებლობაზე დახარჯული თანხების რეალობაში, მოხდება სახლის ტექნიკური ინვენტარიზაცია და შეფასება.

4. საბინაო-საშენებლო კომპერატივების ყოფილ მეპაიებს დაუმოწმენდებათ საპაიო შენატანები, რომლებიც შესდგება მათ მიერ 1937 წლის დეკემბრამდე გაწეული ხარჯებისაგან, დასკვნითი ბალანსის მიხედვით.

5. საპაიო შენატანების გაცემისას გულმოდგინეთ უნდა იქნას შემოწმებული თვითეული თანხის გამოანგარიშების სისტორე, ამასთან მთლიანად უნდა იქნას დაკავებული:

ა) ის თანხები, რომელიც მეპაიეთა მაგივრად შეტანილია სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომპერატიული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, დაფინანსების წყაროს მიუხედავად.

ბ) ამორტიზაციის თანხები საცხოვრებელი ბინით სარგებლობის მთელი პერიოდისათვის;

გ) ბანკის სესხების გამო გადახდილი პროცენტები, რომლებსაც ზოგჯერ უმართებულოდ უერთებდნენ საპაიო შენატანებს;

დ) მუშათა საბინაო-საშენებლო კომპერატიულ ამხანავობათა საექსპლოატაციო და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად შეტანილი თანხები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი მ. ნანეიშვილი.

1938 წ. ივლისის 31. № 1264

თბილისი.

691.6

### 13. ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის წესის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგნენ:

1. იმ შემთხვევაში, თუ ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების დროს საცხოვრებელი სალვომის დაქვირავებელს აღმოაჩინდება ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, დაწესებულ საცხოვრებელ ნორმებთან შედარებით, განცალკევებული ოთახის სახით, ადგილობრივ საბჭოს ან შესაბამისად სახელმწიფო დაწესებულების, საჭარმოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციის აღმინისტრაციას შეუძლია გამოიყენოს ეს ზედმეტი ფართობი თავისი შეხელუებისამებრ ამა დადგენილების მე-2, მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ პირობების დაცვით-

**შენიშვნა.** ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევთს საკუთარო მოთახში არ შეიძლება სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, გარდა ცოლ-ქმრისა და 10 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებისა.

2. ადგილობრივ საბჭოს უფლება ეძლევა გამოიყენოს ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი იმ შემთხვევაში, თუ მობინადრემ საბინაო სამმართველოს მიერ სათანადო გაფრთხობილების შემდეგ სამი თვის განმავლობაში არ ჩაასახლა ვინმე იმ ზედმეტ საცხოვრებელ ფართობში, რომელიც მას აღმოაჩნდა.

ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი გამოიანგარიშება მობინადრის მთელ ოჯახზე.

3. ოთახს შიგნითი ზედმეტი ფართობის ჩამორთმევა, მისი ოდენობის მიუ-ხედავად, შემციდროების, გადასახლების, იძულებით გატიხვრის ან ოთახების სხვაგვარი გარდაგეგმვის გზით — აკრძალულია.

4. აკრძალულია მოქალაქეთა სარგებლობიდან ჩამორთმევა, კერძოდ საცხოვრებლად გამოყენებისათვის, საერთო სარგებლობის სასარგებლო ფართობისა (სამზარეულოების, სააბაზანო მთახების, საკუპნაოების, სარაიების, დერეფნების, შესასვლელების, კიბის მაღლების და სხვ.).

5. ოთახების იძულებით ჩამორთმევა, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2 მუხლით, არა კრუცელდება იმ დამატებით საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც მომქმედი კანონების საფუძველზე, ეძლევა მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიას (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 40).

6. ამა დადგენილების გამოცემის შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 11 მარტის დადგენილება „ბინებში იძულებითი შემციდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 81; 1931 წ. № 22, მუხ. 235);

ბ) მუხლი 3<sup>1</sup> და 9 საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 20 დეკემბრის დადგენილებისა „კომინალური საბინაო ფონდის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 18, მუხ. 191);

გ) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 22 თებერვლის დადგენილება „მშრომელთა საბინაო უფლებების სფეროში რევოლუციური კანონიერების განმტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 7, მუხ. 101);

დ) მუხლი 5 საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 4 აგვისტოს დადგენილებისა „სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 21, მუხ. 276).

7. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქების ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე“ გამოცემული საქართვე-

ლოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარობრივი საბჭოს 1929 წ. 2 სექტემბრის დადგენილების 23 მუხლის მე-3 ნაწილი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„23 (ნაწ. 3). ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის გადიდებული ქირა, რაც ამა მუხლის 1 ნაწილით არის დაწესებული, გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზედმეტი ფართობი, შეღავათიანი ნახევარი ნორმის ჩათვლით, შეიძლება ტექნიკურად გამოყოფილ იქნეს საერთო ფართობიდან, როგორც არაგასალელი ოთახი, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს; ამასთანავე ასეთ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნეს კანონმდებლობა ბინებში ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი მ. ნანებშვილი.

1938 წ. ივლისის 31. № 1272.  
თბილისი.

---

---

გამოქვეყნებული: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

---

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში  
ხელშერიღის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 25 კაპ.